საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3947
29/07/2022

3947-21-2-202207291709

შპს „ინერტული მასალების კომბინატს“
მის: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №44, ბინა №25
ელ.ფოსტა: giorgadzevl@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3115 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ნავთობპროდუქტების საცავი. დაზუსტებას საჭიროებს ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების GPS კოორდინატები და ინფორმაცია საწვავის ტიპის შესახებ, აგრეთვე, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის, მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე ობიექტის ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;
- სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, დოკუმენტის თანახმად საწარმოს ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის შემოტანა ხორციელდება მიმდებარედ არსებული კარიერიდან, რომელიც გაცემულია 57 000 $მ^3$ ბალასტის მოპოვებაზე, ხოლო საწარმო წლის განმავლობაში გადაამუშავებს 144 000 $მ^3$ წიაღისეულს, შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ტექნოლოგიურ პროცესში, დღის განმავლობაში 600$მ^3$ სასარგებლო წიაღისეულის გადასამუშავებლად გამოიყენება 4000$მ^3$ წყალი, ამასთან, საწარმოო წყლის გაწმენდის მიზნით მოწყობილი სალექარის მოცულობა შეადგენს 340 $მ^3$-ს, აღნიშნული მოცულობები ურთიერთშეუსაბამოა, შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ უნდა იქნას გაანგარიშების მონაცემები ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია (სალექარის ეფექტურობა);
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საწარმოო მოედანზე ატმოსფერული ნალექების წყლები ჩაიჟონება გრუნტში“, თუმცა, არ არის განხილული სანიაღვრე წყლების შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების საკითხი, ასევე, არ არის შეფასებული ნიადაგზე/გრუნტზე, მიწისქვეშა წყლებზე და ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედება;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტის ტერიტორიიდან 600 მეტრში განთავსებულია სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო, ამასთან, მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საწარმოს ტერიტორიიდან 160 მეტრში მდებარეობს ამავე კომპანიის საკუთრებაში არსებული ანალოგიური ტიპის საწარმო, შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო